№ 112 ივნისი 2, სამშაბათი 1892 ივნისი 2, სამშაბათი № 112

„Иверія“ (ежедневно)
Кутаисъ
2-ой гильд. куп. Беро гр.
Іурцхваi шдзе

ივერია

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

„ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაფერს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

მთავრობის ნება დართვით შვიდს მომავალს ივნისს, დილის 10 საათზედ, შესდგება განსაკუთრებული კრება ტფილისის თავად-აზნაურობისა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში განსახილველად თავად-აზნაურთა მამულების სიისა და გამოსარკვევლად იმ საგნისა, თუ როგორ უნდა დაწესდეს პურის შესანახი ბეღლები (მაღაზიები) მაზრებში. ამისთვის ტფილისის მაზრის კეთილშობილთ წინამძღოლი სთხოვს თავად-აზნაურთ ტფილისის მაზრისას მობრძანდნენ ზემოდ აღნიშნულს დროს განსაკუთრებულს კრებაზედ.

(3—3)

ახალი ამბავი

⁂ კვირას, 31 მაისს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების კრებამ აირჩია გამგეობის ახალნი წევრნი: თავ. გ. მ. თუმანოვი, პ. ი. ყიფიანი, თავ. ვ. მ. თუმანოვი, თავ. ი. გ. მაჩაბელი, ვ. ა. სულხანოვი, ს. დუმბაძე და დ. კარიჭაშვილი. კანდიდატებად: პ. რ. ყიფიანი, ნ. ი. ავალიშვილი და ა. თ. ყიფშიძე.

4 მაისს ამავე საზოგადოების კრება განიხილავს მომავალ სეზონის თეატრის ხარჯთა-აღრიცხვას.

⁂ დღეს, საღამოს შვიდს საათზედ, ტფილისის საგუბერნიო მმართველობის დარბაზში დანიშნულია კრება, რომელზედაც მოწვეულნი არიან სხვა-და-სხვა უწყების წარმომადგენელნი. კრებამ უნდა შეიმუშაოს ის ზომანი, თუ როგორ ებრძოლონ ხოლერას.

⁂ 30 მაისს ქალაქის გამგეობას საგანგებო კრება ჰქონდა, რომელზედაც განხილულ იქმნა ღონისძიებანი ქალაქის გასუფთავებისა და ხოლერასთან ბრძოლის შესახებ. დადგენილ იქმნა გაჰყონ ქალაქი ათ ნაწილად და თითოეული ნაწილი ჩააბარონ სასანატირო რაზმებს. ყოველი სასანიტარო რაზმი უნდა შესდგებოდეს ხუთის კაცისაგან, რომელთა შორის ერთი უნდა იყოს ექიმი, ერთი ფერშალი, ერთი ბოქაული პოლიციისა და ერთიც ხმოსანი საბჭოსი. მოწვეულ უნდა იქმნას ამის გამო ათი ექიმი და ათიც ფერშალი. თითო ექიმს დაენიშნება დღეში ხუთი მანეთი გასამრჯელო, ფერშალს კი თვეში სამი თუმანი. სასანიტარო რაზმთა მუშაობა, სულ რომ ცოტა ვთქვათ, გასტანს სამს თვეს, უკეთუ ხოლერა არ გაჩნდა ქალაქში. ხოლო თუ ეს ჭირი ეწვია ქალაქს, მაშინ ექიმებსა და ფერშლებს მოემატებათ ჯამაგირები და თანაც საბჭო პირობას მისცემთ, რომ ვინიცობაა უბედურება რამ ეწვია ექიმს, პენსია დაენიშნოს მის სახლობას ქალაქის ხარჯით წელიწადში 600 მანეთი. ქალაქმა თავის ხარჯით უნდა გამართოს ოთხი სადგომი ავადმყოფთა თავ-შესაფარად: ერთი ვერაზე, ერთი კუკიაში, ერთი ვარანცოვის ქუჩაზედ და ერთიც ალექსანდრეს ბაღში. ამ საგნის შესახებ 1 ივნისს ექმნება მსჯელობა ქალაქის საბჭოს.

⁂ კავკასიის საექიმო ნაწილის გამგებელის ბ-ნ გლავაცკის განკარგულებით, მომავალ შაბათს იგზავნება ქ. ლენქორანს ექიმი ბ-ნი გ. ბროძელი, რადგან სპარსეთის ქ. ენზელმს ხოლერა გაჩნდა. ტფილისიდგან გაგზავნილი ექიმები სხვებთან ერთად მოვალენი არიან ეცადნენ, რომ სპარსეთიდგან ხოლერა არ გადმოვიდეს ჩვენშიაც.

⁂ უმაღლესს სასამართლოს უკვე დაუბოლოვებია საქმე ალექსანდრე პავლეს ძის აღნიაშვილისა, რომელსაც თ. კონსტანტინე ბებუთოვის მოკვლა ჰბრალდებოდა. როგორც მკითხველებსაც ეხსომებათ, ეს საქმე ოლქის სასამართლომ შარშან განიხილა და ბრალდებულს სამის წლით საპატიმროში დამწყვდევა განუჩინა. ამ გარდაწყვეტილებას არ დასთანხმდა ბრალდებულის ამხანაგი ბ-ნი ვოცკოი და სამოსამართლო პალატაში გადიტანა. პალატამ 20 თებერვალს ამა წლისას გაარჩია თ. კ. ბებუთოვის მოკვლის საქმე და დაადგინა: ყოველივე ქონებრივი უფლება ჩამოერთვას ბრალდებულს და ციმბირის უფრო ნაკლებად მოშორებულს ადგილებში გაიგზავნოს დასასახლებლადაო. ეხლა, როგორც შევიტყეთ, ტფილისში უკვე მოსულა ამბავი, რომ უმართებელესმა სენატმა სამართლიანად იცნო სამოსამართლო პალატის გარდაწყვეტილება და დაამტკიცაო.

⁂ გორის მაზრის სოფ. ნიფარის მცხოვრებელმა ფირუზა ბოსინაშვილმა და დუშეთის მაზრის სოფ. ბაგინესამ ნიკო პეტრეს ძე ბ—შვილმა 28 წარსულ მაისს ტფილისის მაზრის უფროსს გამოუცხადეს, რომ 26 მაისის საღამოს ავჭალიდგან ტფილისში მოვდიოდით და „ღრმა-ღელესთან“, რკინის გზის ლიანდაგს ახლო, თავს დაგვეცა სამი უცნობი კაცი, რომელნიც, როგორც ეტყობოდათ, თათრები უნდა ყოფილიყვნენ. ერთს თოფი ეჭირა ხელში და დანარჩენი ორნი-კი რევოლვერებით იყვნენ შეიარაღებულნი. თათრებმა დაგვიჭირეს, ხევში ჩაგვათრიეს, სიკვდილს დაგვემუქრნენ და ისე გაგვძარცვესო. ბოსინაშვილს გაჰხადეს თურმე ჩოხა, ქუდი და ხურჯინი წაართვეს და იმის ამხანაგს-კი ტანისამოსივე; ხანჯალი და ფულის ქისა, რომელშიაც ექვს მანეთამდე ფული იყო. შემდეგ გათენებამდე დაგვამწყვდიეს და როცა ინათლა, მაშინ გაიქცნენო.

⁂ 26 მაისს ავლაბრის საძოვარს ადგილებზედ ცხვრის ფარას მოერეკებოდნენ სოფ. ნორიოს მცხოვრებელნი ნიკო ქავთარაძე და ისააკა ცოფურაშვილი ამხანაგებითურთ. ამ დროს შემოეყარნენ ამავე საძოვარ ადგილის მცელავი ჯარის-კაცები, ერთი მათგანი ცელით ხელსა და ფეხში დასჭრეს, მეორეს კეტით ტუჩი გაუხეთქეს, ათამდე ცხვარი წაასხეს და გაიქცნენ.

⁂ ტფილისის დედათა ინსტიტუტში წელს 23 ქალმა დაასრულა სწავლა. კარგის სწავლისათვის სხვათა შორის მიიღეს საჩუქრები: ელენე ქიშმიშოვმა—წიგნი, ნინო გამრეკელმა—წიგნი, ელისაბედ ერისთავმა—წიგნი, ანნა ჭიჭინაძემ—წიგნი, ელენე ყორღანოვმა—წიგნი, მარიამ ჯორჯაძემ—პორთფელი. ამათ გარდა სწავლა დაამთავრეს სხვათა შორის: მარიამ ამილახვარმა, ნატალია არღუტინსკიმ, ეკატერინე ბაღინოვმა, სოფიო ბახუტოვმა და ელისაბედ მირიმანოვმა.

⁂ ტფილისის სამოქალაქო სასწავლებლის კომიტეტის წევრმა ნ. ზ. ცხვეთაძემ ხსენებულს კომიტეტში შეიტანა მოხსენება სამოქალაქო პირველ-დაწყებით სკოლებისა და სახელოსნო სასწავლებლის აწინდელ მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ. კომიტეტმა გადასწყვიტა, დაბეჭდოს ეს მოხსენება, გაუგზავნოს კომიტეტის წევრთ და შემდეგ განიხილოს.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ბ-ნი ფრიდე 1 ივნისს პეტერბურგს გაემგზავრა.

⁂ კვირას, 31 მაისს, სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში აკურთხეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბიბლიოთეკა, რომლითაც სარგებლობა მსურველთ მცირე ფასად შეეძლებათ. კურთხევას დაესწრნენ წერა-კითხვის საზოგადოების წევრნი და მრავალი ხალხი.

⁂ წრეულს ტფილისის კადეტების კორპუსში 44 კაცმა დაამთავრა სწავლა, ამათში 9 ქართველია: 1) თავ. ალექსანდრე ერისთავი, 2) ვიჩესლავ მიქელაძე, 3) ალექსანდრე ჩხეიძე, 4) ილარიონ ხუციშვილი, 5) ალექსანდრე გაბაშვილი, 6) ალექსანდრე ძნელაძე, 7) გიორ-

---

ფელეტონი

საწყალი კატო!

(პოლშურიდგან)

როგორც მოვემზადე წამოსაწოლად, კარების რაკუნი შემომესმა. ასე მეგონა, ვინმე ავადმყოფის პატრონი მეძახის-მეთქი, და საჩქაროდ გავაღე კარები! წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება! კარებთან თავ-ჩაღუნული ბავშვი იდგა. ტანსაცმელზედ ეტყობოდა, რომ ბავშვი ღარიბის დედმამის შვილი იყო.

— რა გინდა! ვკითხე მე.

— მეშინიან, აქ ბნელა...

— ნუ გეშინიან, შინ შემოდი.

ბავშვი ოთახში შევიყვანე. დავჯექ სავარძელზედ და ვკითხე:

— რა საქმე გაქვს? ავად ხომ არა ხარ?

ბავშვმა გაიღიმა და მორცხვად მიპასუხა:

— ბ-ნო ექიმო, თქვენთან იმიტომ გიახელით, რომ მამაჩემი სულ ბუზღუნებს, ჯავრობს, როცა წასაკითხი არაფერი აქვს. გაზეთს აღარ იწერს და დედა სულ იმას ამბობს, სახლში წასაკითხი რომ არა აქვს-რა, მუშაობის შემდეგ დუქანში ატარებს დროსაო.

— მამაშენი ვინ არის?

— ქარხანაში მუშაობს! წინად მამას პოლშური გაზეთი მოსდიოდა და რაკი ყველა მუშებს აუკრძალეს... მეც თქვენთან მოვედი.

— სადა სცხოვრობთ?

— აქვე, თქვენსავე ეზოში!

— მამაშენმა გამოგზავნა!

— არა! მე და დედამ ვიფიქრეთ, რომ თქვენ გაზეთი თუ მოგდით, ყოველ დღე დადის თქვენთან ფოსტის მოხელე. მოხუცმა მარიამმა სთქვა, რომ ექიმი პოლშელიაო.

— მაშ ის გინდა, რომ მამაშენს გაზეთი ვათხოვო ხოლმე.

— დიახ!

— კარგი! მერე სამაგიეროს რას მომცემ.

ბავშვი როგორღაც ჩაფიქრდა და უცებ მიპასუხა:

— მართლა! თეთრი კატა მყავს, თუ გნებავთ, იმას მოგართმევთ!

მე სიცილით ვუპასუხე:

— არა, შენი კატა არ მინდა. სჯობს სამაგიეროდ მაკოცე. რა გქვიან?

— კატო!

ამ საღამოდგან მოკიდებული მე და პატარა კატო დავძმობილდით. ყოველ დღე მოდიოდა ხოლმე და გაზეთი მიჰქონდა. თანდათან ხომ ისე გათამამდა, რომ კარგა ხანს რჩებოდა ჩემთან, მელაპარაკებოდა, მეთამაშებოდა და სულითა და გულით კმაყოფილი ბრუნდებოდა შინ. თუ მე მუშაობის დროს შემომასწრებდა, ისე თაგვსავით გაიპარებოდა, რომ ვერც-კი მოვასწრობდი ხოლმე შეხედვას. კატოს სიტყვით ვიცოდი იმის ოჯახის ავ-კარგიანობა.

— მე ორის თვისა დავრჩი დედას, მამამ მეორე ცოლი შეირთოო! მიამბო კატომ: მამას ქარხანაში ფეხი მოსწყდა და ერთს კვირაზედ გადაიცვალა: მე და დედა მარტოკები დავრჩით. ერთის წლის შემდეგ დედაჩემმა მამიჩემის ამხანაგი მუშა იანი შეირთო. ეხლა მე ორი ძმა და ერთი და მყავს, რომლებსაც მე ვუვლიო.

კატო სულ 8 წლისა იყო, მაგრამ დიდის შრომის მოყვარე და ჯაფის ატანა-კი შეეძლო. დილით მთელის ოჯახისთვის წყალს ეზიდებოდა. სახლის დაგვა და ალაგებ-დალაგება ხომ იმისი მოვალეობა იყო. სულ ფაცი-ფუცში იყო პატარა მუშა. თუ ოჯახში საქმე არა ჰქონდა, იჯდა და წინდებსა ჰქსოვდა თავის პატარა დაძმებისა და დედისათვის. ჩემის ფანჯრიდგან არა ერთხელ დამინახავს მოზრდილის სურით წყალზედ მიმავალი კატო.

ერთხელ ვკითხე:

— კატო, ის სურა განა შენთვის მძიმე არ არის?

— სულაც არა! ხელი ცოტა დამეღლება-კი ხოლმე, მაგრამ დავისვენებ და ისევ ადვილად მიმაქვსო.

ერთს საღამოს კატო გაზეთისათვის მოვიდა და საჩქაროდვე დაბრუნდა შინ, დედა ავად მყავს და ბავშვებს უნდა მივხედოო. მეც აღარ დავიგვიანე და წაველი ავადმყოფის სანახავად. ოთახში შესვლისათანავე საკვირველი სისუფთავე დამხვდა ირგვლივ. სუფთად დაწკრიალებული ჭურჭელი თაროზედ წყობით ელაგა. ბალღები ძველს, მაგრამ სუფთა ტანსაცმელში იყვნენ, ავადმყოფი იაფ-ფასიანს, მაგრამ სუფთა ლოგინში იწვა. კატო აკვანს მოსჯდომოდა, ფეხით აკვანს არწევდა და თან წინდასა ჰქსოვდა. შენიშნა თუ არა, „თქვენა ხართ, ბ-ნო ექიმოო!“

---

*) ეს მოთხრობა ეკუთვნის იმ დროს, როცა გერმანიაში სასტიკად სდევნიდნენ უცხო სახელმწიფოების ქვეშევრდომებს.

ჭი კვინიტაძე, 8) ივანე საგინაშვილი და 9) დიმიტრი საგინაშვილი.

⁂ ახალციხე: 21 აპრილს სცენის მოყვარეებმა ახალციხეში აქაურ საქველ-მოქმედო საზოგადოების დედათა სკოლის სასარგებლოდ გამართეს წარმოდგენა. ბილეთები იყო დამზადებული 187, სულ 183 მან. 30 კაპ. გაუყიდავი დარჩა 117 ბილეთი, სულ 112 მან. 60 კ., გაიყიდა 70 მან. 70 კ.

ხარჯი იყო შემდეგი. მუსიკა და სახლი 30 მან. აფიშები და ბილეთები, აფიშების გაკვრა—4 მ. 50 კ., პარიკმახერს—2 მ. 50 კ., სხვა-და-სხვა ხარჯი—3 მ. 48 კ. სულ დაიხარჯა—40 მ. 48 კაპ. ასე რომ, ხარჯს გარდა, წმინდა შემოსავალი დარჩა 30 მ. 32 კ. სრული ანგარიში ამ წარმოდგენისა ჩაჰბარდა ადგილობრივს პოლიციას, ფული-კი გადაეცა სრულადვე საზოგადოების ხაზინადარს.

⁂ სოფ. დიღომი: 24 მაისს აისის გზაზედ ადგილობრივს მცხოვრებელს ვანო მტრედაძეს ორი რუსის ჯარის-კაცი დაუხვდნენ, კეტით მკლავი მოამტვრიეს, ჯიბიდგან ორი თუმანი და თერთმეტი შაური ფული ამოაცალეს და გაიქცნენ. დამნაშავენი ჯერაც ვერ უპოვნიათ, თუმცა მაზრის უფროსს უკვე ნაუწყები აქვს ეს საქმე.

⁂ ოზურგეთი: აქაურ საქალებო სკოლის სასარგებლოდ 6 მაისს „ლატარია-ალეგრი“ იყო გამართული ოზურგეთის სამოქალაქო ბაღში. ეს მეორეა აქ „ლატარია-ალეგრის“ გამართვა ამავე სკოლის სასარგებლოდ და წელსაც შარშანდელსავით დიდის თანაგრძნობით მიეგება ხალხი ამ საქმეს. წმინდა შემოსავალი ხუთას მანეთამდე დარჩა სასწავლებელს, თუმცა რამდენიმე °/₀ სამოქალაქო სკოლის მუსიკის სასარგებლოდ გადასდეს. 15 ამავე თთვეს იმავე მუსიკის სასარგებლოდ სამოქალაქო სკოლის ახალმა საპატიო ზედამხედველმა გამართა ხსენებულს ბაღში „სეირნობა“, რომლიდგანაც წმინდა შემოსავალი დარჩა 135 მანეთი და ამ ფულიდგან მემუსიკე მოწაფეებს ტანისამოსი შეუკერეს. ამავე სკოლასთან სამეურნეო განყოფილების დასაარსებლად 27 მაისს იყო კრება ზემოხსენებულს ბაღში თ. თ. დადიშკელიანის თავმჯდომარეობით და საზოგადოებამაც ერთ-ხმად გადასწყვიტა: „რაც გინდა შეგვაწერეთ გადასახადი, მხოლოდ სამეურნეო განყოფილება დაგვიარსდეთ ჩვენს სამოქალაქო სასწავლებელთანაო“. მეორე კრებაც კიდევ ამას წინად ჰქონდა აქაურს რამდენსამე მოვაჭრეს და სამოქალაქო სკოლის ინსპექტორ-მასწავლებლებს, რომლის საგანიც იყო: „ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების“ დაარსება ოზურგეთში. ბ-ნმა ბეგზადოვმა ყველა ამ ნაირი საზოგადოების წესდებანი წაუკითხა კრებას და, რომელიც საუმჯობესოდ დაინახა კრებამ, მისცა გადასაწერად ერთს მასწავლებელთაგანს და ამ დღეებში გაგზავნიან დასამტკიცებლად.

⁂ სოფ. მცხეთა: 28 დაიწყო დედათა მონასტრის ქალების სასწავლებელში ეგზამენები. ეგზამენის დროს თავმჯდომარედ ბრძანდებოდა ყოვლად უსამღვდელოესი გორის ეპისკოპოსი ალექსანდრე და მის თანაშემწედ სასინოდო კანტორის ხაზინადარი პ. ა—ძე არდაზიანი. მშობლები შეგირდებისა და სხვა გარეშენიც ბლომად დაესწრნენ და სხვათა შორის ადგილობრივი ბოქაული თ. ვახვახიშვილი და საბაჟოს უფროსი ნ. თ. ფეოდოროვი. პირველად გამოსცადეს ბავშვები საღმრთო წერილში და შემდეგ სხვა საგნებშიაც. მოწაფეებმა კარგად იცოდნენ საგნები. ის გაუგებარი ზეპირობა, რომელსაც ხშირად ვხედავთ სხვა სასწავლებელში, სრულიად არავის ეტყობოდა. ორი-სამის წლის მოსული შეგირდები ჩინებულად ლაპარაკობდნენ რუსულსაც, მაგრამ უმთავრესი ყურადღება, როგორც გამომცდელებისა, აგრეთვე მაყურებლებისა, მიიპყრო ქართულმა ენამ. საზოგადოდ ბავშვები ძლიერ მშვენივრად კითხულობდნენ ლექსებსა. მაგალითად ლექსი "არაგვი" (აჩრდილიდგან) ისე მშვენივრად წაიკითხა ერთმა შეგირდმა, რომ მაყურებელნი აღტაცებაში მოვიდნენ. ეგზამენები გათავდა მეორე დღეს. მათი ყოვლად უსამღვდელოესობა ძლიერ ნასიამოვნები დარჩა და მადლობა გამოუცხადა მასწავლებელთ მხნედ შრომისათვის.

⁂ 31 მაისს, საღამოს 10 საათზედ, მუშტაიდის ბაღში, ტფილისში დროებით ჩამოსულს თავ. ივანე რომანოზის ძეს რუსიშვილს ჯიბიდგან 230 მანეთი ფულად, 2400 მ. თამასუქი და სხვა-და-სხვა საჭირო ქაღალდები ამოაცალეს.

⁂ ამავე დღეს, ღამის 11 საათზედ, მეორე მაღაზინების ქუჩაზედ ჯარის-კაცის ლეონტი პავლოვსკის ღია სადგომიდგან კარლ კოსმიჩევსკიმ გაიტანა სხვა-და-სხვა ნივთეული 200 მანეთისა და ფულად 15 მანეთი. დამნაშავე შეიპყრეს.

⁂ მაისის 31 მარტყოფის ქუჩაზედ ტფილისის მცხოვრებელს გიგო მჭედლიძეს ტფილისის მცხოვრებმა მიხეილ ბაღდასაროვმა და ვიღაც თათარმა სახლი გაუტეხეს და მოჰპარეს 50 მანეთი. ქურდებს თავს წაასწრნენ ტფილისის მცხოვრებელნი მანდა ბაურიძე, გიორგი ოსიფოვი და ვასილ ნათაძე. ერთი მათგანი, ბაღდასაროვი, შეიპყრეს და პოლიციაში წარადგინეს, თათარი-კი გაექცათ.

⁂ ამავე დღეს სოფ. თამარაშენის მცხოვრებელმა გიორგი გოგნიძემ პოლიციაში გამოაცხადა, რომ კარდისუბანში სოფ. საქობოს მცხოვრებელმა მიხეილ ღვინიაშვილმა ყულაბიდგან ხუთი მანეთი მომპარაო. დამნაშავე შეიპყრეს და სამი მანეთი უპოვნეს.

⁂ 31 მაისს ტფილისის სამკურნალოს ზედამხედველმა ბუკრეტოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ჩემმა მოსამსახურემ, სოფ. ქსნის მცხოვრებელმა ანტონ გუნაშვილმა, 10 მან. მომპარაო. დამნაშავე რკინის გზის მატარებელში შეიპყრეს. გუნაშვილმა აღიარა თავისი დანაშაული.

◆◆

წერილი გურიიდგან

ს. სურები.—„ყვავილი“ ანუ ბატონები.—სკოლა და „თუმან-ნახევარი“.—დიდი ნეტარება და ნუკეში.—ორი დიდი სოფელი და ბრძოლა სკოლის წინააღმდეგ.

დიდსა და აუტანელს გასაჭირში ჩააგდო ჩვენი 400—500 კომლიანი საზოგადოება წელს ყვავილმა, რომელიც იანვრიდგან მოყოლებული დღემდისაც მძვინვარებს და ანადგურებს ადამიანთა სიცოცხლესთან ერთად იმათ ნივთიერს შეძლებასაც. არა ერთსა და ორს ოჯახს მოაკლო ერთად-ერთი მამაკაცი, პატრონი წვრილის ცოლშვილისა, რომელსაც ძალა-უნებურად ლუკმა მჭადს მაინც მიაწვდიდა და ტიტველს ხორცს უფარავდა. ეხლა-კი შეუბრალებელმა „ბატონებმა“ ჩაჰყარა ისინი გაციებულს ნაცარში ყოველს იმედს მოკლებულნი. ამას თავი გავანებოთ.

ჩვენში საზოგადოდ ადამიანის სიცოცხლეს დიდი ფასი არა სძევს: არც იმისი ამ ქვეყნად მოსვლა გულს იმედებით გვივსებს და არც უდროოდ წასვლასა ვვალალებთ მაგდენად. გაერთიანებულს გასაჭირს თურმე გულის ფიცრად გარდაქმნა შესძლებია. ანგარიშის მხრივაც „ბატონებმა“ ნამდვილი ბატონური მტარვალობა გაუწია თავიანთ ყმებს. აჰყარა, დააწიოკა მთელი სოფელი და გაჰხიზნა უდაბურს მთასა და ტყეში; მთელი შინაობა-კი მისის მოწყობილობით დარჩა ყვავ-ყორან-მგელ-ტურა და მელიების ნამუს-სინიდისზედ. არც ერთი კუთხე სოფლისა არ დაუტოვებია ამ სენს აუყრელ-დაურბეველი. ამ ბოლოს დროს აქაურს სასოფლო სკოლას შემოარტყა ალყა და სოფლის სქელ ბურუსის ერთად-ერთს მედგარ-მებრძოლს ხარკსა სთხოვს. ბევრს შეგირდს შეუკრა გზა და სკოლაში მოსვლის ნებას არ აძლევს, ზოგი ლოგინშიაც ჩააწვინა. კიდევ კარგი, რომ ჯერ არავინ მათგანი არ „მიურთმევია“. 80—90 შეგირდის რიცხვი 50—60-დის დამცირდა და ამათ მოკვეთასაც დღე ყოველ ელოდება აღმზრდელი დედა-სკოლა.

არ ითქმის, რომ ღონისძიებანი (თუმცა გვიან-კი) არ ყოფილიყოს მიღებული. ჩოხატაურის ავადმყოფთა თავ-შესაფარის გამგე ექიმმა თ. დ. ერისთავმა გამოგზავნა ამცრელები, თითონაც მოვიდა და კიდეც აუცრეს ხალხს, მაგრამ ზოგმა განგებ თავი მოარიდა აცრას, რომ „ბატონები“ უფრო არ გაერისხებინათ. „ბატონების წამლობა როგორ შეიძლებაო, გაიძახიან: ანგელოზს ვინ შეჰკადრებს წინააღმდეგობასაო! ჩვენებიანთ თეკლეს კიდეც გამოსცხადებია წუხელ ბატონები; დაუკაკუნეს თურმე კარები და შესძახეს: „უთხარი სოფელს, რომ აცრა-წამლებით ნუ გვაჯავრებენ, თორემ ერთიან ყველას ამოვჟლეტავთო“. აფორიაქებული და დამფრთხალი ფანტაზია ხალხისა საოცარის სახით ჰხედავს ყვავილს, რომელიც კიდეც ლაპარაკობს, დადის, იცინის, ჯავრობს, სვამს და სჭამს. ერთად-ერთი წამალი ხალხის შეხედულობით ის არის, რომ ტიკინივით თხას მოჰკმაზავენ და შეუშვებენ ავადმყოფთან. მოკაზმულს თხას გარდა „ბოდიშიც“ უებარ წამლად არის ცნობილი. ოჰ, უმეცრებავ, სიბნელევ, რამდენი ბოროტი მიგიძღვის კაცთა წინაშე! შენოდენა თაყვანისმცემელი რომ სინათლეს ჰყავდეს, ქვეყანა სამოთხედ გარდაიქცეოდა!

მე ასე მეჩვენება, რომ ჩვენი სოფელი მარტო ცრუ-მორწმუნეობით სცხოვრობს. რაღა მაგრამ მარტო ამ მთებში მიკუნჩხულს სოფელს უნდა დავემდუროთ, ბარადროცა სურების მეზობელი სოფლები უფრო ველურ გზას ადგია. სურებმა, ასე იყო თუ ისე, ძალად იყო თუ ნებით, ერთი სასოფლო სასწავლებელი მაინც გაიმართა და, თუ თითონ დღეს სიბნელის მორევში ჰყუმპალაობს, შვილებს მაინც უნდა აჩვენოს ცოტაოდენი სინათლე. მართლაც ამ სკოლამ ექვსის წლის თვისის არსებობით შესამჩნევი კვალი დაატყო აქაურობას სხვაფრივადაც, რომ მხედველობაში არ მივიღოთ ის 40—50 ყმაწვილი, რომელიც მოამზადა და სხვა თავისზედ უფრო მაღალს სასწავლებელს გაუგზავნა გასაწვრთნელად. ამ დასს მოსწავლეებისას ყოველ წლობით უმატებს და ისტუმრებს ახალ წყება სასწავლებლისაკენ. განა კარგი ნიშნები არ არის ეს? განა საიმედო საქმედ არ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ამ ბნელს კუთხეშიაც-კი სასოფლო ფული გაჩნდა და საამხანაგოდ იზრდება, რომ ბოლოს განათლებას მოხმარდეს შემატებული თანხა? სოფელს აქვს საერთო ტყე, რომელშიაც ყოველ წლობით ბაჟით სოფელი მეჯოგეს აყენებს. აქამდის ხორცად ინაწილებდნენ აღებულს ბაჟს. ხოლო ამ ბოლო ხანს ფულად აიღეს და გააწერეს. ასე მოიქცევიან კვლავაც და წინ სვლა დაეტყობათ. ხომ ჰხედავთ, რომ მუცელი ჩამოსულა თავის ალაგას—კაცის ქვემოდ და ზემოდ მოსაზრება და ტვინი მუშაობს... მართალია, მათ განმაკარგებელს ძვირფასს განძს—სკოლას სოფელი ცოტა უსამართლოდ ექცევა: არა ჰზრუნავს მის გაუჭირვებლად და უნაკლულოდ მოწყობასა და შენახვას, ვერ შეუყვარებია სულით და გულით თავისი მოკეთე დაწესებულება, მაგრამ ეს გასაკვირველი არ არის. უსწავლელი კაცი ფასს ვერ დასდებს იმას, რაც უცებ პირ-

---

მითხრა და ისევ თავისი საქმე განაგრძო. მე მივესალმე კატოს და მივედი ავადმყოფთან. სკამზედ ჩამოვჯექ და ავადმყოფს ვუამბე მე და კატოს მეგობრობა. ავადმყოფს სახეზედ ეტყობოდა, რომ ჩემმა ლაპარაკმა მეტად ასიამოვნა. ძველმა კედლის საათმა შვიდი დაჰკრა. ავადმყოფს სახე უცებ შეეცვალა და შეშინებულსავით ოთახში მიიხედ-მოიხედა. კატო ფიცხლავ წამოხტა, აანთო სანთელი და სტოლზედ დადგა. სავარძელი მიუდგა სტოლს, სანთლის გვერდზედ გაზეთი დასდო და თავისის დის აკვნით კუთხეში მიჯდა. ოთახში მოთამაშე პატარა ბავშვებმა მოკრიფეს თავიანთი სათამაშოები და ისინიც კუთხეში მისხდნენ. მცირე ხნის შემდეგ ოთახში მაღალ-მაღალი კაცი შემოვიდა, ლურჯის ხალათით. მე ვერ შემნიშნა, მიიხედ-მოიხედა და „ქვიანადო!“ დასძახა ბავშვებს. ოთახში ისეთი სიჩუმე იყო, რომ ბუზის ფრენაც-კი ისმოდა.

— არ გესმის! ნელის ხმით უთხრა ახლად შემოსულს ავადმყოფმა: ბ-ნი ექიმი აქ არის.

— რაო! დაიყვირა იანმა: ექიმის ფულები ვინ მომცა მერე?

მე წამოვიწიე.

— ბ-ნი ექიმი თითონ მობრძანდა! მე არ მითხოვნია! იანს, ცოტა არ იყოს, შერცხვა და ხელი გამომიწოდა.

— იმედი მაქვს, კარგად იქნება თქვენი ცოლი! ვუთხარი მე შემოვედი თქვენსა როგორც მეზობელი და პატარა კატოს მეგობარი.

— განა თქვენგან მოაქვთ გაზეთი? მე-კი მატყუებენ, რომ ვითომ გაზეთი თქვენ აღარ გჭირდებათ.

— მართალი უთქვამთ! წაკითხულს გაზეთებს ვაძლევ ხოლმე.

— მაინც რა თავში ვიხლი გაზეთს. მუშა დღიურ შრომის შემდეგ უნდა დანაყრდეს და ძაღლივით დაეგდოს. რა საჭიროა გაზეთი და სანთლის ტყუილი ხარჯვა?

— მაგას რად ამბობთ, მუშაც ისეთივე მოქალაქეა, როგორც სხვანი.

იანმა მწარედ გაიღიმა.

— მოქალაქე ეხლა ის არის, ვისაც ძალა და ფული აქვს. აქ მოქალაქე გერმანელია! მშვენიერი მოქალაქობაა ჩვენი, თუ-კი უკანასკნელ პირუტყვსავით საითაც უნდათ, იქით გვიკრავენ თავს. განა იმიტომ არ გვიბრძანებენ, გერმანული გაზეთი გამოიწერეთო, რომ რა არის მალე დაგვავიწყონ სამშობლო ენა და სარწმუნოება... მაგრამ, მომიტევეთ, დავიღალე და ცოტა მშიან კიდეც. იანი ადრევე მომზადებულს ვახშამს მიუჯდა.

— თქვენს ცოლს დედაკაცის შველა უნდა-მეთქი, მივუახლოვდი და ვუთხარ იანს.

— დედაკაციო? სწორედ რომ სატანჯველია? განა მოგასვენებენ, რომ ვახშამი მაინც არის სჭამო.

— შენ შეექეცი! მე სასეირნოდ მივდივარ და ექიმს დედაკაცს მე თითონ გამოვგზავნი. იანმა ცივი მადლობა გადამიხადა და კარებამდის გამაცილა.

შუაღამისას ხანგრძლივმა ზარის წკარუნმა გამომაღვიძა. საჩქაროდ გადავიცვი ტანისამოსი და კარებისაკენ გავექანე. კარებთან იდგა პატარა კატო. საწყალი საშინლად კანკალებდა და ძლივს მითხრა:

— დედა ძალიან ავად არის! თქვენმა გამოგზავნილმა დედაკაცმა თქვენთან გამომგზავნა.

მაშინვე გავყევ კატოს. ავადმყოფი მართლა ცუდს მდგომარეობაში იყო. იანი არ იყო შინ. პატარა ხანს უკან მოვიდა და ოთახში შემოსვლის უმალ გაჯავრებით წამოიძახა.

— სანთელი ისევ ანთია! განა ბნელაში კი არ შეიძლება ავადმყოფობა!

ყური ავადმყოფისაკენ მეჭირა და იანს არც-კი მივხედე. ცოტა უკეთ რომ შეიქმნა ავადმყოფი, მაშინ შევნიშნე, რომ იანი ავადმყოფის საწოლის მახლობლად იდგა და სტიროდა. იანს შერცხვა, ცრემლი რომ შევნიშნე, და საჩქაროდ გავიდა გარედ. კატო ძუძუთა ბავშვით მეზობელთან გავგზავნეთ. ერთს კვირას დღეში ორჯელ დავდიოდი ავადმყოფთან. საწყალი ოჯახი მეცოდებოდა და როგორც და რითიც-კი შემეძლო, ვცდილობდი ავადმყოფი მომერჩინა. ამის ქმრის სიხეპრე და გაუთლელობა ახლაც-კი მიდგა თვალ-წინ. არა ერთხელ მინდოდა კარგა გამომეშუშპრა, მაგრამ ავადმყოფის წყენას ვერიდებოდი. ერთხელ მე და ავადმყოფი მარტონი ვიყავით.

— უნდა მოგახსენოთ, ბ-ნო ექიმო, რომ ჩემი ქმარი ბუნებით მეტად კეთილი კაცია, მაგრამ დროთა ბრუნვამ მთლად გაამხეცა და გაანადირა! მაინც-კი გულით უვნებელი და უბოროტოა. ვინც უფრო უყვარს, ყველაზედ მეტად იმას უჯავრდება.

დედის ავადმყოფობის დროს უფრო

ში არ ჩაიდება, ტანთ არ ჩაიცმის და ხელი არ შეევლება.

მაგრამ მალე დრო შეიცვლება: აღმზრდელს სკოლას აღზრდილი შვილები პატივსა და სიყვარულს აღარ მოაკლებენ და აღარც ისე გაღატაკებული და ტყავ-გამძვრალი იქმნება, როგორც ეხლაა. ახლა-კი ყველაფერი აკლია. მასწავლებლის „თუმან-ნახევარი“, როგორც ერთმა ქლესა „ჩინოვნიკმა“ უწოდა დაცინვის კილოთი სახალხო მასწავლებლის ჯამაგირს, რომ ხალხში აბრუ გაეტეხნა ამ მოღვაწესათვის, დიაღ, ის თუმან-ნახევარი, რომლის სამაგიეროდაც მასწავლებელი ამდენს ჯაფასა და წვალებას იტანს, სურების მასწავლებლისათვის ციურ მანანასავით განატრებულია: ხან აიღებს და ხან სრულიად იკარგება. აქაურს ცას დიდხანს აქვს პირი შეკრული და როცა გაიხსნება, მაშინაც ცოტა მოწყალებას გადმოჰყრის. ზამთარში თუ თვით მასწავლებელ-შეგირდებმა თავისის ზურგით შეშა არ მოიტანეს, ცეცხლს ისე თვალითაც ვერ დაინახავენ. სკოლას რომ ერთი ფანჯარა გაუტყდეს, რაც ადვილად მოხდება სკოლის ცხოვრებაში, მანამდის ცივმა ქარმა უნდა უგირგილოს სანახევროდ ჩაცმულს მოსწავლე-მასწავლებელს, სანამ ეგ უკანასკნელი სადმე არ გააჩენს შუშის ფასს თავისის ხარჯით. ამ ნივთიერ სიღატაკესთან სკოლა ნამდვილს სიმდიდრეს მოკლებული არ არის. იგი მუდამ სავსე და გაჭედილია შეგირდებით და ეს ერთად-ერთი სიმდიდრე ხომ დიდი ნუგეშია იმ ტანჯულისათვის, რომელსაც სოფლის მასწავლებელი ჰქვიან.

დიაღ, მასწავლებლის სიმდიდრე უეჭველად შეგირდებია. ვისაც არ გამოუცდია, ვერ წარმოიდგენს იმ ნეტარებას, რომელსაცა ჰგრძნობს მასწავლებელი, როცა წინ ჰხედავს პატარა კაცთა საზოგადოებას, მიზიდულს აზროვნებისა, ჭკუისა და სწავლისაკენ. მათი ცოცხალი თვალები და დაცქვეტილი ყურები თავის თავად ლაპარაკობენ: გვინდა, ცნობიერებაში მოვიდეთ, გვინდა, ადამიანები გავხდეთ და დახმარებას ნუ დაიშურებთ თქვენის ღვთის გულისათვისაო. მასწავლებელიც ივიწყებს სიცივეს, სიმშილს, შეურაცხყოფას უმეცრებისაგან, დღეში ათასჯერ მიყენებულს, და აწვდის სულიერს საზრდოს თავისს პატარა მეგობრებს. ვურჩევ ბ-ნს კაკარდოსანს, რომელიც იმით ამაყობს, იმითი იბერება, რომ ასს თუმანს პირდაპირს ჯამაგირს იღებს და ორასიც „შემოსავალი“ აქვს, თუმან-ნახევარს მასწავლებლისაგან ნაგრძნობი ნეტარებაც დაუმატოს და ჯამი იმის ფულებით გატიკნილს ქისას გადასცილდება კიდეც. თუ როდისმე ვისმეს აზნევებდა «მარტო ერთითა პურითა ცხოვრება», ჩვენ, ქართველებს, გვავნებს დღეს.

სურებს მახლობლად უძევს ორი 600—700 კომლიანი საზოგადოება: ერკეთი და ნანეშვილის სოფელი, რომელნიც შეძლებითაც სჭარბობენ სურებს, რიცხვითაც და ჭკუა-შეგნებასაც მეტს ჩემულობენ. გარეშე კაცთა მეცადინეობით ყოველ წლობით ინიშნება მათში ყრილობა სკოლების გასამართად, ასტყდება ხოლმე ერთი ორიანტელი, ხათქა-ხუთქი, შეჯახება, განაჩენიც შესდგება, და ბოლოს მაინც უსკოლონი რჩებიან. წინად მომზადებული დასი სინათლის მოწინააღმდეგეთა თავ-გატეხილივით ყვირის—არ გვინდა, არ გვინდა სკოლა, დაგვეხსენით! თუ ვინმე მათგანი შეარყია მათ წინ სკოლის სასარგებლოდ წარმოთქმულმა სიტყვამ, მოულბო გული, შეაფურთხებინა ეშმაკისათვის და სკოლა ისურვა, მისცვივიან სხვები და უყვირიან: არა გრცხვენიან, გვღალატობ და გვეშლები, აგი პირობა გვქონდა ჩვენ დადებული? გამაგრდი, არვინ შეგწამოს, ვითომ სკოლა გვინდა. ჩვენ ჩვენ ვართ და ის კაცი რას იტყვის, რომ გავუტეხოთ პირობა!.. ასე „ჩიქთურში“ ჩაგდებული და სკოლისკენ გულ-მობრუნებული შერცხვენილი ბოდიშს იხდის და სხვებთან ერთად გაჰკივის: არ გვინდა, არა, ჩვენ გვაქვს ჩვენთვის ჩვენი სკოლაო. მიხვდებოდით, რომ საქმის არევ-დარევა და უკუღმა დატრიალება ყოფილა უნარი „იმ კაცისა“, რომელსაც აგრე მაგრად დაუჭერია ხელში გლეხები და რომელიც ზრდის და სწვრთნის სკოლის მოუკუღმართე მეომრებს.

სჩანს, „იმ კაცს“ თითონ აქვს სადმე „ნალთაში“ დადგმული სამი ოთხ-ფეხი გრძელი სკამი, დაუსვამს ზედ უმეცართა და მისგან დაბრმავებულ გლეხთა შვილები და დღითი-დღე აწვეთებს ყურში, სწავლა, სინათლე მავნებელიაო, ჩემი სამსახური დაგიხსნით თქვენ ყოველის გასაჭირისაგანაო.

ასეთის ქადაგების შემდეგ დაიმედებულთ, რომ „ეშმაკი“ ველარას აწყენს მის სულიერ შეგირდებს, „იმ კაცებს“ (ისინი მრავალნი არიან) გამოჰყავთ ყმაწვილები ქვისა, კირისა, წნელისა და შეშის საზიდავად. ხვალ ამ სწავლას შესცვლის თოხნა, ლობვა და სხვა რამ ასეთზედ. დიაღ, ფიზიკური შრომა სასარგებლოაო, აკი ამტკიცებენ. როცა „ნალიაში“ შემორეკავს თავის ტუსაღებს, მაშინ ასმენინებენ ქადაგებას ლანძღვა-გინებისა და ჭორებისას. თავის ქადაგებაში „ის კაცები“ ებრძვიან ვიღაცას და რაღაცას, რომელსაც თავის მტრად ჰხადიან და რისაც დიდი შიში აქვთ, ე. ი. ნასწავლს კაცებსა და სწავლას.

სურებელი

რუსეთი

რუსეთში ჩამოვარდნილმა სიმშილმა, როგორც მოსალოდნელი იყო, გლეხთა აყრა და გადასახლება მეტის-მეტად გააძლიერა. როგორც ოფიციალურ ცნობათაგან სჩანს, მომეტებულმა ნაწილმა გლეხებისამ თითონაც არ იცის, სად მიდის და სად უნდა დასახლდეს, სამშობლოდგან რომ იყრება; როცა აყრილნი სხვა საბინადრო ალაგს მიაღწევენ ხოლმე, შეძლება არ შესწევთ, რომ მოეწყვნენ და ახალი ცხოვრება დაიწყონ. ამ გვარ შემთხვევათა ასაცილებლად ამ ათის წლის წინად მთავრობამ დააკანონა, გადასასახლებელმა ოჯახმა სამშობლოშივე უნდა დაამტკიცოს, რომ შეძლება აქვს არა თუ მარტო გზის ხარჯისა, არამედ იმისიც, რომ სხვა ალაგას მოეწყოს და დაბინავდესო. მაგრამ, როგორცა ვხედავთ, ეს კანონი საქმეს ვერასა ჰშველის. მიზეზი ამისი ის გარემოება არის, რომ უმრავლესობა გლეხებისა მთავრობის დაუკითხავადა და ნება-დაურთველად იყრება და ისე მიდის სხვაგან დასასახლებლად. ბევრს მათგანს უკანვე დააბრუნებენ ხოლმე თავიანთს სამშობლოში, მაგრამ რაღა დაბრუნებაა, როდესაც საქონელიცა და სხვა ყველა ავეჯი, სახლ-კარი და მამულ-დედული სულ მიყიდულ-მოყიდული აქვთ. მაინც კიდევ, მიუხედავად ამისა, ორი მესამედი სულ მთავრობის ნება-დაურთველად არის გადასახლებული.

ეს გარემოება აშკარად ჰმოწმობს, რომ აწინდელი კანონები რუსეთისა გლეხთა გადასახლების შესახებ სათანადო ვერ არის. ეს კანონი ვერ არის შეთანხმებული გლეხების საეკონომიო და საოჯახო ვითარებასთან, რომელსაც ვერავითარიმე თეორიული კანონი ვერ მოსპობს და განსაკუთრებით რუსეთის აწინდელი კანონი, დამყარებული მხოლოდ შემდეგზედ: სხვა ადგილას გადასახლება და რიგიანი ცხოვრება მხოლოდ შეძლებულს გლეხებს შეუძლიან და ამის გამო შეუძლებლებს არ უნდა მიეცეთ გადასახლების ნება, რომ სახელმწიფოს ტვირთად არ გაუხდნენო.

მაშასადამე, საჭიროა, რომ განკარგდეს გლეხთა გარდასახლების საქმე და იმის შესახები კანონი დამყარდეს თვით ცხოვრების მიერ ნაჩვენებს საფუძველზედ. მთავრობის მოვალეობა მხოლოდ ის-კი არ არის, რომ შეძლებულებს ნება მისცეს გარდასახლებისა და შეუძლებლებს აუკრძალოს. არა, თვით სახელმწიფო უნდა ჩაერიოს ამ საქმეში და ხელი შეუწყოს გარდასახლებას უმეტესად ღარიბებისას, არა შეძლებულებისას, როგორც აწინდელი კანონი ამბობს.

ვერავითარიმე კანონმდებლობითი შევიწროება ვერ მოსპობს ისეთს დიდს საეკონომიო მოვლენას, როგორიც გლეხთა გადასახლება. თუნდა ამ შევიწროებამ ცოტადაც არის შეავიწროოს გლეხთა გადასახლებაა, განა კარგი რამ შედეგი მოჰყვება ამასა? სამშობლოში დარჩებიან შეუძლებელი გლეხები, რომელნიც სახელმწიფო გარდასახადს სრულად ვერ გადაიხდიან, ხოლო შეძლებულმა გლეხებმა გადასახლებაზედ დიდი ხარჯი უნდა გასწიონ, ოჯახი ასწეწ-დასწეწონ და ისინიც გაღარიბდნენ. ყოველივე ეს მიწად-მოქმედებაზედ ძლიერ ცუდს გავლენას იქონიებს: გაღარიბებულს გლეხებს ველარ შეეძლებათ განაკარგონ წესი მიწად-მოქმედებისა.

უცხოეთი

ინგლისი. წარსულს სამშაბათს გლადსტონმა სიტყვა წარმოსთქვა ლიბერალთა და რადიკალთა კრებულის წინაშე და სხვათა შორის აღიარა, ამ ორიოდე დღის წინად განვაცხადე, რომ დეპუტაციას ვინახულებ ლონდონის მუშათა კრებულის საბჭოსას იმ საგნის შესახებ მოსალაპარაკებლად, რომ მუშათათვის დღეში მხოლოდ 8 საათის მუშაობა დაწესდესო. გაზეთს „Times“-ში ზოგიერთი დაწვრილებითი ამბავია ამის შესახებ დაბეჭდილი. საბჭოს მდივანმა შინტონმა გაუგზავნა თურმე ასლები იმ რეზოლიუციებისა, რომელიც შეწყნარებულ იქმნა 1 მაისს მომხდარ მუშათა კონგრესის მიერ მუშათა საქმის შესახებ. ამასთანავე მდივანმა აუწყა გლადსტონს მუშათა მომეტებულ ნაწილის აზრიც ამ საგნის შესახებ. პასუხად ამისა მდივანმა მიიღო გლადსტონის წერილი, რომელშიაც სხვათა შორის ეწერა: „თქვენ მიერ გამოგზავნილის რეზოლიუციების შემწეობითა და განმარტებით დაახლოიებით შევიტყე სურვილი მუშათ საბჭოსი და შემიძლიან მოველაპარაკო ამ საქმის თაობაზედ, თუ საბჭო ასურვებს. მზად ვარ ვინახულო, ვისაც-კი საბჭო დეპუტატებად ამოირჩევს ამ საგნისთვის“. მიიღეს თუ არა ეს წერილი, საბჭომ მაშინვე მოახდინა კრება და დეპუტაცია აირჩია გლადსტონთან გასაგზავნად.

ბელგია. ბელგიაში ერთი ახალი ფრიად საყურადღებო საქმე დაიწყეს. სამთა-მადნო მუშები შეუდგებიან მადნების წარმოებას თავისის ხარჯით, დღიურს 8 საათის მუშაობას დააწესებენ და ბევრს სხვა სასურველს წესს შემოიღებენ. ამ საგნისათვის დაარსდა ცალკე საზოგადოება, რომელსაც თანხა ერთი მილიონი აქვს. ფულის პატრონმა დებარტმა 300,000 ფრანკზედ მოაწერა ხელი, ხოლო დანარჩენი ნაწილი ბარინაჟის სამთამადნო მუშებმა იკისრეს. საკოოპერაციო ამხანაგობანი, მუშათა კრებულნი და სხვ. აქციებით იღებენ მონაწილეობას. აქციები მხოლოდ 10 ფრანკიანებია. მოგება ასე განაწილდება: 50 პროცენტს იღებენ მეაქციეები, 20 პროცენტს მოსამსახურე მუშები, 10 პროცენტს დამხმარებელი კასსა და 20 პროცენტიც მუშათა საშემწეოდ იქნება გადადებული. დებარტი 15 წლის ვადით საქმის გამგებლად იქმნა არჩეული. დებარტს გარდა, ადმინისტრაციის წე-

---

უკეთ გავიცანი ჩემი პატარა მეგობარი კატო. გავიცან და გაკვირვებული ვიყავ იმისის დაუღალავის შრომა-ცოდნისაგან.

პატარა გოგონა მთელი დღე ოთახში ფუსფუსებდა—ჰგვიდა, სწმენდავდა, ჭურჭელსა ჰრეცხავდა, სადილს ამზადებდა. მეტად სასაცილო სანახავი იყო კატო, როცა სადილს აკეთებდა.

ბუხართან მიიდგამდა ხოლმე სკამსა, წამოსკუპდებოდა ზედ და კარგის გამოცდილის მზარეულსავით შეუდგებოდა საჭმლის კეთებას. უფრო სასაცილო იყო, როცა-კი თავისს მამინაცვალს ემსახურებოდა. ისეც მარდი, უფრო გაფიცხდებოდა ხოლმე და მამინაცვალს არც-კი აცდიდა სიტყვის დაბოლოვებას, უკვე იცოდა, რაც უნდოდა, და თვალის ერთს დახამხამებაზედ უკვე შეუსრულებდა ხოლმე. მაგრამ გაისტუმრებდა თუ არა მამინაცვალს, კუთხეში მიბუზულს და-ძმებს გამოიყვანდა და იმათ სიამოვნება-ლოლიაობაში ატარებდა დროს.

ავადმყოფი თანდათან უკეთ შეიქნა. ნებაც-კი მივეცი ლოგინიდგან ადგომისა. ორის დღის შემდეგ საღამოთი კიდევ შევიარე ავადმყოფის ამბის შესატყობად. სისუსტე კვლავ ჰქონდა. ქმარი მუშაობიდგან დაბრუნებულიყო და გაზეთს კითხულობდა. ვიდრე ავადმყოფს ველაპარაკებოდი, იანი ოთახიდგან გავიდა. თურმე გარედ მელოდებოდა.

— ბ-ნო ექიმო, მე თქვენთან ცოტა რამ მოსალაპარაკებელი მაქვს, მითხრა იანმა: ჩემი ცოლი ადრე ხომ არ ადგა ლოგინიდგან

მე ვითომ ვერ მივხვდი და ვკითხე.

— როგორ თუ ადრე?

— ისე, იქნება მთლად არ გაიკურნა ავადმყოფობისაგან და...

— იქნება გგონიათ, თქვენი უკადრისი ქცევა და უაზრო ლაპარაკი იყოს მიზეზი, რომ ლოგინიდგან ადგომის ნება მივეცი. რა-კი დავიტყე, რომ საშიშო აღარ იყო, ნება იმიტომ მივეცი ლოგინს მოშორებოდა.

— რაო? განა გითხრათ რამე?

— სრულიადაც არა! პირ-იქით, ის ყოველთვის გაქებდათ და სულ იმას ამბობდა, შვილებიცა და მეც ძალიან ვუყვარვართო. მაგრამ განა ვერა ვხედავ, რა უზრდელადაც ექცევით სახლობას?

— როგორც და რა ნაირადაც ვიქცევი ჩემს ოჯახში, ეგ ჩემი საქმეა და არავის არა აქვს ნება ჩემს შინაურს აქმეში გაერიოს.

— მართალია, თქვენი საქმეა, მაგრამ ყველა პატიოსანი ადამიანი მოვალეა, სუსტსა და უძლურს წაესარჩლოს და დაიფაროს.

მუშამ მწარედ გაიღიმა.

— იქნება გგონიათ, რომ ისინი უბედურები არიან და მე კი ბედნიერი, თავისუფალი ვარ! არც არავინ მდევნის, არც არაფერი მიქენჯნის სინიდისს და არც შეურაცხებას მაყენებენ!.. სთქვა ეს და სახლისკენ გაბრუნდა. უკებ შედგა, მომიბრუნდა და მითხრა:

— რაც უნდა მკვიდრის ხასიათისა იყოს კაცი, გამხეცდება, განადირდება, თუ სდევნიან, ყოველს ნაბიჯზედ სიცოცხლეს უშხამავენ, რწმენას უწამლავენ და ამასაც არა ჰკმარობენ, საკუთარს დედის ძუძუსთან შეწოვილს ენაზედ, არამც თუ წერა-კითხვას, ლაპარაკსაც-კი უშლიან. აბა გამოსცადეთ და, თუნდა, ერთს დღეს ქარხანაში იმუშავეთ გერმანელებთან! განა შეიძლება სიტყვით გადმოგცეთ, რა ტანჯვა-ჯვარცმა უნდა აიტანოთ... ხმის ამოღება ლუკმა პურის დაკარგვაა, და განა კიდევ არის რამე უბედურება იმაზედ უძლიერესი, როცა იტანჯები და მტანჯველ-მწვალებლისათვის-კი ისე, გულის გასაქარვებლად მაინც არის, სიტყვის თქმაც ვერ გაგიბედნია! მოითმინეთ, თქვენც მოგწვდებიან. თქვენ განათლებული ახალგაზდა ხართ, სამსახურში თბილი ალაგი გიპოვიათ, მაგრამ არა მგონია, თუ ნამდვილი მამულიშვილი ხართ, სინიდისი არა გქენჯნიდეთ, რომ თქვენი თანამოძმეები ამ ყოფაში ვართ. მხოლოდ მაშინ შეგიძლიანთ გულ-მოსვენებით და კმაყოფილად ჰგრძნობდეთ თქვენს თავს, როცა უარ-ჰყოფთ თქვენს მშობლებს—სამშობლოს, ენას, სარწმუნოებას და თვით გვარსაც-კი, და აბა მიბძანეთ, ამის ჩამდენი განა კაცია?.. არა, ტანჯვა-წვალება მირჩევნია ასეთს ცხოვრებას.

მუშა გაჩუმდა და საჩქაროდ გასწია შინისაკენ. მე კარგა ხანს კიდევ ერთს ალაგას ვიდექ უძრავად. იმისმა ლაპარაკმა საშინლად დამაფიქრა...

წინად თუ იმის ავ-ზნეობას გაუნათლებლობას ვაწერდი, დღეს ამის მიზეზი სულ სხვა გამოდგა, და სწორედ რომ მართლის გულით შემეცოდა.

(შემდეგი იქნება)

ვრად იქნება აგრეთვე 9 მუშა. მმართველობის წევრთა შორის ყოველთვის ერთი მუშა მაინც უნდა ერიოს.

◆

წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ აზნაურს ნესტორ ბესარიონის ძეს ორჯონიკიძეს, რომელმაც სოფ. ღორეშის ღარიბს ეკკლესიას შემოსწირა თხუთმეტი თუმანი ფულად და ერთი ხუთ მანეთად ღირებული სასაკმელე. იგივე ნესტორ ორჯონიკიძე დიდად თანაუგრძნობს ჩვენს ღარიბს სამრევლო სკოლას და ნივთიერად ღარიბს მოსწავლეებს არ აკლებს შეძლებისამებრ დახმარებას.

ს. ღორეშის მღვდელი სვიმონ ჭუმბურიძე.

◆

დეპეშა

30 მაისი

პეტერბურგი. რადგანაც სპარსეთში ხოლერა გამოჩნდა, ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ სხვა-და-სხვა ღონისძიება იხმარა, რომ რუსეთის იმპერიაში არ გადმოვიდეს ეს სენი კასპიის ზღვის პირების მხრივ.

ლონდონი. პრინცი ფერდინანდ კობურგელი, როგორც ნათესავი, ინახულა დედოფალმა ბალმორალში. პრინცმა ფერდინანდმა ისადილა პრინც უელსისას, ხოლო ისაუზმა ლორდმერისას.

ჰამბურგი. დასასრულ საპროფესიო ამხანაგობათა კრებისა გამართულ იქმნა მეჯლისი, რომლის დროსაც სტატს-სეკრეტარმა ბეტტიჰერმა წარმოსთქვა „hoh“ იმპერატორის პატივსაცემლად და სთქვა: იმ მშვიდობიანობის წყალობით, რომელიც უზრუნველ ყოფილია გერმანიის იმპერიაში, საზოგადოებრივი და საპოლიტიკო კანონმდებლობა კეთილსა და დიდს ნაყოფს მოიტანსო.

მადრიდი. ბრძოლა მუშებსა და ჟანდარმებს შორის ჯერ მოსპობილია; მაგრამ შიშიანობის წესი ჯერ არ არის გამოცხადებული.

ვენა. იმპერატორი დღეს დილით დაბრუნდა ბუდაპეშტიდგან და რესკრიპტი გამოსცა, რომ ამიერიდგან ბუდაპეშტი სატახტო ქალაქად იყოს წოდებულიო. მინისტრნი და დიპლომატნი საღამოს დაბრუნდნენ.

დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძე ოჯახობითურთ დღეს დილით მობრძანდა კიევიდგან.

ლონდონი. თეირანიდგან იუწყებიან, მეშედში ხოლერა მძვინვარებს და ოთხშაბათს 250 კაცი მოკვდაო.

31 მაისი

პეტერბურგი. გარდაწყვეტილება აბაზას კომისიისა იმის შესახებ, რომ ნება-დართულ იქმნას რუსეთიდგან პირნახულის ზიდვა საზღვარ-გარედ, დრომდე საიდუმლოდ იქნება შენახული, ვიდრე სათანადო წესით არ დამტკიცდება იგი გარდაწყვეტილება.

23—29 მაისს განსაკუთრებულს კომიტეტს შეწირულება მოუვიდა 23,199 მან., აქედგან 4000 მანათი ეკატერინოდარის ვაჭართ საზოგადოებამ შესწირა.

კილი „Koeler Zeitung“-ი იუწყება, შტეტინგსა და დაცინგში განზრახვა აქვთ პორტო-ფარანკო დააწესონო.

რომი წინადადება ჯიოლოტისა, რომლის სამინისტროსაც კრიზისი მოელოდა ნახევარ-წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, შეწყნარებულ იქმნა პალატის უმრავლესობით და დიდი ტაშის ცემაც გამოიწვია.

პეტერბურგის ბირჟა, 29 მაისი

	მყიდვე-ლისა.	გამყი-დველისა.	გაყიდუ-ლისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	$7_{,62}$	$7_{,65}$	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	$152^{1}/_{2}$	$153^{1}/_{2}$	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	— ,,	$1_{,10}$	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	$241^{1}/_{2}$
—მეორისა	— ,,	— ,,	221
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . .	— ,,	193	$193^{3}/_{4}$
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%.	— ,,	— ,,	$101^{1}/_{2}$
5%.	— ,,	— ,,	$99_{,62}$
ქუთაისის ბანკისა 6%.	— ,,	— ,,	$101^{1}/_{2}$
5%.	— ,,	— ,,	$99^{1}/_{2}$
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	$98^{1}/_{2}$	— ,,	— ,,

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუაღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუაღღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ნიხრი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	„ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ.	„ „ „
„ „ 2	
თონ. წით. პურ. 1 ხარ.	„ „ „
„ „ „ 2	„ „ „
„ „ „ 3	„ „ „
ჯვარის მამის პურის ლავაში.	
1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ.	კ.
მე-2 „ „ „ „	.
მე-3 „ „ „ „	„
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა	8 „
„ „ 2 „	„
სუკი — — —	14 „
ცხვრის ხორცი — —	9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ.	7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად	6 „

განცხადებანი

გაფრთხილება

მე, ქვემორე ამის ხელის-მომწერელი, ვაცხადებ, რომ ვექსილი, მიცემული ამ ჟამად ტფილისიდგან წასულის ჩემის ძმის, გრიგოლ ივანეს ძის მირზოევის მიერ თავის სახელით, ჩემ მიერ მიცემულის რწმუნების ქაღალდის საფუძვლით, ორმოცის ათასის მანათისა ივანე ალექსანდრეს ძის მანთაშოვისთვის უკანასკნელის მიერ გარდაეცა საუპასუხო წარწერით დავით სტეფანის ძეს დავრიშოვ-კასპაროვსკის, როგორც გასაბათილებელი, ჩასაბარებლად ჩვენთვის. მაგრამ ბ-ნმა დავრიშოვმა დაჰკარგა ეს ვექსილი გაუბათილებლად და დაუხევლად, რის დასამტკიცებლად მან მოგვცა ჩვენ ბარათი, შემოწმებული ტფილისის ნოტარიუსის პოლტარაცკის მიერ 14 ნოემბერს 1891 წელს № 6733. ამ ჟამად ზემოდ ხსენებული ვექსილი აღმოაჩნდა საპატიო საშვილიშვილო მოქალაქეს **გაბრიელ სოლომონის ძეს პარუნაშვილს**, რომელსაც 23 მაისს გავუგზავნე ნოტარიუსის მიერ შემოწმებული განცხადება, რათა დააბრუნოს იგი ვექსილი გასაუქმებლად. მოვალედ ვრაცხთ ჩვენს თავს, ყოველივე ეს საყოველთაოდ გამოვაცხადოთ და გავაფრთხილოთ, რომ უკანონო საქმე არა მოხდეს-რა ხსენებულ ვექსილის წყალობით. 28 მაისი 1892 წლისა.

მელქო ივანეს ძე მირზოევი

(2—1)

ქ. ოზურგეთში

გამოვიდა და ისყიდება კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული შემდეგი ახალი წიგნები:

	მ.	კ
1) „ამპარტავანი გიორგი“ გარშინისა . .	„	5
2) „ჩხუბი ერთი კვერცხისათვის“ ტოლსტოისა .	„	5
3) „საყმაწვილო ბიბლიოთეკა“ ოცხანელისა .	„	5
4) „ქართულ ანდაზების ლოტო“ ნ. ო—შვილისა.	„	80
5) „რავდენიმე მოთხრობა“ (გურიის ცხოვ.) ე. ნინოშვილისა . .	„	50
6) „სიმონა“ მოთხრობა (გურიის ცხოვ.) მისივე .	„	30
7) „ვეფხის-ტყაოსანი“ მეორედ გამოცემა ოზურგეთში სურათით . .	„	40

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოზურგეთში გამომცემელს, ტფილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, გორში, სამტრედიაში, ხონში და სოხუმში ყველა წიგნის მაღაზიებს. ყვირილაში ი. კაკაბაძეს, ბათუმში ბ. კალანდაძეს, ქუთაისსა და რიონს შუა ხეთერელს, განჯაში ს. დოლიძეს და ახალსენაკში ბ. მიქაძეს და აგრეთვე გურიის ყველა მასწავლე-

(7—74—)

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—54)

წერ„ა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

	მან.	კაპ.
ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი	„	40
ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . .	„	20
თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთ I, II და III ტომი თითო ტომი. .	1	40
იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე	2	50
სამივე ტომი. . . .	7	„
სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა	1	80
თხზლებანი ი. დავითაშვილისა	„	20
მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა	„	20
წყალობა პოემა მისივე .	„	20
სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა	„	25
თამარ, სპარსული ლეგენდა	„	10
დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა.	„	15
ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. .	„	50
სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა .	„	30
აქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა	„	50
ონიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა .	1	„
კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე	„	20
პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე .	„	50
საყმაწვილო ამბები მისივე	„	40
ჭმურ სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა.	„	25
თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი	„	50

КАВКА
ВЫС
СЕЛЬСК.
ПРОМЫШ
188
Б.М. АЛЕКСАНДРЪ III ИМПЕРАТ. И САМОД. ВСЕРОСС.

ტფილ. გამოფენა.

Б.М. АЛЕКСАНДРЪ III ИМП. И САМОД. ВСЕРОСС.
ЗА УСЕРДІЕ

ვერცხლისა

Б.М. АЛЕКСАНДРЪ III ИМП. И САМОД. ВСЕРОСС.
ЗА УСЕРДІЕ

ოქროსი

ЗАВОДЪ
МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
А. А. ТУТАЕВА.

Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.

Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

ალალო თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

ტფილისში:

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის სერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით ვაზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფაეტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—15)

Дозв. ценз. Тифлисъ, 2-го Іюня 1892 г. სტამბა შ. შარაძის. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.